# ცხოვრების საზრისი, ცხოვრებით კმაყოფილება და რელიგიურობა

**ანა არველაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**თბილისი, 2021**

**განაცხადი**

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ანა არველაძე

16 ივნისი, 2021 წელი

# აბსტრაქტი

რელიგიურობის სხვადასხვა განზომილებას, ცხოვრების საზრისის მიებასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის მიმართებების შესახებ ჩატარებული კვლევები მრავალგვარ შედეგებს გვთავაზობს. ზოგიერთ კვლევა მკაფიოდ ასახავს დადებით კავშირს რელიგიურ პრაკტიკასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, კერძოდ, ცხოვრებით კმაყოფილებას, შორის, ასევე ცხოვრების საზრისსა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის, თუმცა ზოგიერთი კვლევა ცხოვრებით კმაყოფილების მხოლოდ შინაგან რელიგიურობასთან კავშირს ავლენს, რაც ინდივიდის რელიგიურ დღესასწაულებსა და რიტუალებში მონაწილეობასთან არ არის დაკავშირებული და უფრო რელიგიური რწმენისადმი დამოკიდებულებას ასახავს. გამომდინარე კვლევათა არაერთგვაროვანი შედეგებიდან, წინამდებარე ნაშრომში, კორელაციური დიზაინით, ნაკვლევია ცხოვრებით კმაყოფილების კავშირი, ცხოვრების საზრისთან, კერძოდ, ცხოვრების საზრისის არსებობასთან, და რელიგიურობასთან მიმართებაში. ჰიპოთეზებთან თანხვედრაში კვლევამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 228 ადამიანმა, რელიგიურობის სხვადასხვა განზომილებასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის, კერძოდ, რელიგიურ პრაქტიკასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის, ასევე, ცხოვრების საზრისსა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის დადებითი კავშირი გამოავლინა. საკითხის ირგვლივ არსებულ მნიშვნელოვან თეორიულ და ემპირიულ ნაშრომებთან ერთად, აღნიშნული კვლევის შედეგებიც ცხადყოფს, რომ ინდივიდის ჩართულობა რელიგიის პრაქტიკულ-რიტუალურ ასპექტებში ცხოვრებით კმაყოფილების განცდასთან დადებითად ასოცირდება ისევე, როგორც სიცოცხლის საზრისის არსებობა უკავშირდება პოზიტიურად ცხოვრებით კმაყოფილებას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები**: რელიგიურობა, რელიგიური პრაქტიკა, ცხოვრების საზრისის ძიება, ცხოვრების საზრისის არსებობა, ცხოვრებით კმაყოფილება, რელიგიურობის სხვადასხვა განზომილება, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა.

## Abstract

The studies conducted on the correlation between different dimensions of religiosity, the search for meaning in  life and life satisfaction offer us fairly versatile results. Certain studies clearly reflect the positive connection between religious practice and psychological well-being, in particular, between life satisfaction as well as between meaning in life and life satisfaction. However, some studies demonstrate the correlation only between the life satisfaction and the inner religiosity, that is not related to the individual's participation in religious practices or rituals and rather demonstrates their attitude towards the faith.

Due to the mixed results of the research, the present work studies the correlation between life satisfaction in regard to meaning in life, in particular the correlation between the existence of meaning in life and with religiosity by the means of correlative design.

The research that was performed in accordance with hypotheses and involved 228 volunteers, revealed the positive correlation between different religiosity dimensions and life satisfaction, particularly between religious practices and life satisfaction as well as meaning in life and life satisfaction. Current important theoretical and empirical works around the study subject along with the abovementioned study results confirm that the individual's involvement in religion's practical and ritual aspects positively relates to the life satisfaction experience as well as the existence of meaning in life positively relates to life satisfaction itself.



**Keywords**: religiosity, religious practice, search for meaning in life, existence of meaning in life, psychological well-being, life satisfaction, different dimensions of religiosity.